



– მოგზაურობის ეთიკა – და წესები

ქართული

جورجي

شركاء التنفيذ :



المحتوى الإسلامى



رواد التراجم



بيان الإسلام



دار الإسلام

يتاح طباعة هذا الإصدار ونشره بأي وسيلة مع
الالتزام بالإشارة إلى المصدر وعدم التغيير في النص

Tel : +966 50 244 7000

info@islamiccontent.org

Riyadh 13245-2836

www.islamiccontent.org

მოგზაურობის ეთიკა და წესები

ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა
ღმერთს, ღოცვა და მშვიდობა
ჩვენ შუამავალს, მის ოჯახს და
ყველა მის მეგობარს.

ამის შემდეგ:

ეს არის მოკლე წერილი, რომელიც
ეხება მოგზაურობის ეთიკასა და
წესებს, სადაც ვცადეთ განგვემარტა
უმეტესობა იმ საკითხებისა,
რომლებიც მოგზაურს შეიძლება
დასჭირდეს.

ალლაჰს ვთხოვთ, რომ ეს ნაშრომი
დაადგინოს წრფელად მისი
კმაყოფილებისთვის, და რომ
სასარგებლო გახადოს ზოგადად
ყველა მუსლიმისთვის.

**ისლამური კონტენტის სხვადასხვა
ენაზე გავრცელების ასოციაციის
სამეცნიერო კომიტეტი**

მოწადინებული უნდა იყოს ის, ვინც მოგზაურობს ჰაჯისთვის ან სხვა იბადათისთვის, რომ იზრუნოს შემდეგზე:

1

**უნდა სთხოვოს ალლაჰს,
ყოვლადწმიდას, დახმარება არჩევანში
დროის, სატრანსპორტო საშუალების,
თანამგზავრისა და გზის მიმართულების
(თუ გზები მრავალია) შესახებ;**

ამ საკითხებში უნდა შეუთანხმდეს გამოცდილ და წრფელ მორწმუნებს. რაც შეეხება ჰაჯსა და უმრას — ისინი უდავოდ კეთილი საქმეებია. რაც შეეხება ისთიხარას ფორმას: ადამიანი ასრულებს ორ რაქაათ ლოცვას, შემდეგ კი აკეთებს ვედრებას, რომელიც გადმოცემულია მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).



2

ჰაჯობისა და უმრას შემსრულებელმა უნდა დაისახოს მიზნად ალლაჰის სახის (კმაყოფილების) მოსახვეჭად მოქმედება და მისადმი დაახლოება.

მან თავი უნდა შეიკავოს ამქვეყნიურის ამოო საზრდოს, დიდებისმოყვარეობის, წოდებების მოპოვების, თვალთმაქცობის(ანუ რია) ან სახელის მოხვეჭის გულისათვის მოქმედებისგან, რადგან ეს ყველაფერი არის საქმეების გაუქმებისა და მოუღებლობის მიზეზი.

უზენაესი ალლაჰი ამბობს:

قُلْ إِنَّمَا أَنَا بَشَرٌ مِّثْلُكُمْ يُوحَىٰ إِلَيَّ أَنَا أَنْفُكُمْ إِلَهَ وَاحِدٌ فَمَنْ كَانَ يَرْجُوا لِقَاءَ رَبِّهِ فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَالِحًا وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِ أَحَدًا

«უთხარი: მე მხოლოდ ადამიანი ვარ. თქვენი მსგავსი და ზეშთამეგონა, რომ თქვენი ღმერთი ერთადერთი ღმერთია. და იმან, ვინც იმედოვნებს თავის ღმერთთან შეხვედრას, დაე მართალი საქმე აკეთოს და ნურავის დაუდგენს თანაზიარად თავის ღმერთს თაყვანისცემაში». [ალ-ჟაჰედ: 110].

ჰადის ყუდსიში ნათქვამია:

«أَنَا أَعْتَنُ الشُّرَكَاءَ عَنِ السَّيِّئِ، مَنْ عَمِلَ عَمَلًا أَشْرَكَ فِيهِ فَقَدْ غَيَّرَ تَرْكُهُ وَشُرَكَاءَ»

«მე სრულიად არ ვსაჭიროებ იმას, რომ თანაზიარი დამიყენონ. ვინც რაიმე საქმეს შეასრულებს და თანაზიარს დამიდგენს მასში, მე მივატოვებ მასაც და მის მრავალღმერთიანობასაც»⁽¹⁾



(1) გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (2985).

3 ჰაჯობის და უმრას შემსრულებელმა უნდა ისწავლოს და ჩასწვდეს უმრისა და ჰაჯობის წესებს, აგრეთვე მოგზაურობის წესებს მანამდე, სანამ გაემგზავრება,

რათა არ დატოვოს ვალდებულება ან არ ჩავარდეს აკრძალულში. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«قَدْ يُرِيدُ اللَّهُ بِكَ خَيْرًا مِمَّا تَحْسَبُ فِي الدِّينِ»

«ვისთვისაც ალლაჰს სურს სიკეთე, აძლევს მას რელიგიის გაგებას»⁽²⁾

4 ჰაჯობის ან უმრას შემსრულებელმა უნდა აირჩიოს ნებადართული რჩეული ქონება თავისი ჰაჯობისა და უმრისთვის,

რადგან ალლაჰი კარგია და არ იღებს არაფერს გარდა კარგისა. გარდა ამისა, აკრძალული ქონება არის ვედრების მიუღებლობის მიზეზი.

5 უნდა მოინანიოს ყველა ცოდვა და ურჩობა,

და თუ ადამიანების მიმართ აქვს რაიმე ზიანი მიყენებული, უნდა დაუბრუნოს ის და პატიება სთხოვოს მათ — იქნება ეს ღირსება, ქონება თუ სხვა რამ.

6 მოგზაურისთვის სასურველია, რომ დაწეროს თავისი ანდერძი და ჩამოწეროს,

რა აქვს მას ვალდებულებიდან და რა აქვს ვალად გაცემული. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

(2) გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (2738) და მუსლიმის მიერ, ნომრით (1627).

«فَاِذَا قُلُّواْ مَسْلٰمًا لِّهٖ اَوْصَیْ فِيْهِ يٰۤاَيُّهَا الَّذِيْنَ اٰمَنُوْا فَاِذَا قُلُّوْا مَسْلٰمًا عِنْدَ»

«არ აქვს მორწმუნე მუსლიმს უფლება, რომელსაც აქვს რაიმე, რაზეც სურს ანდერძის დატოვება, რომ ორი დამე გაათენოს ისე, რომ მისი ანდერძი დაწერილი არ ჰქონდეს»⁽³⁾.

ანდერძზე უნდა დაამოწმებინოს მოწმეებს, მოაგვაროს თავისი ვალეები და დაუბრუნოს პატრონებს თავიანთი შენახული ნივთები, ან სთხოვოს მათ ნებართვა, რომ დარჩეს ის ნივთები მასთან.

7 მოგზაურისთვის სასურველია გულმოდგინედ შეარჩიოს მართალი თანამგზავრი და ეცადოს, რომ ის იყოს შარიათის ცოდნის მაძიებელთა რიგებიდან,

რადგან ეს არის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი და დაცვა მოგზაურობასა და ჰაჯობა-უმრაში შეცდომების ჩადენისგან. რადგან მოციქულმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«الَّذِيْ عَلٰى دِيْنٍ خَلِيْلٍ، فَلْيَنْظُرْ اَحَدُكُمْ مِّنْ خَلَالِ»

«კაცი თავისი მეგობრის რწმენაზეა, ამიტომ თითოეულმა თქვენგანმა შეხედოს, ვინ არის მისი მეგობარი»^{;(4)}

შუამავლის (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქმით:

«ثُمَّ اِذَا كَانَ طَعَامُكَ اَوْ لَبَاسُكَ»

«არ აიყვანო მეგობრად არავინ გარდა მორწმუნესი და არ შეჭამოს შენი საჭმელი არავინ სხვამ გარდა ღვთისმოშიშისა»⁽⁵⁾.

(3) გადმოსცა აბუ დააუდმა ნომრით (4833).

(4) გადმოსცა აბუ დააუდმა ნომრით(4832) და ათ-თირმეზიმ ნომრით (2395).

(5) გადმოსცა აბუ-ტაბარანიმ ნომრით (823).

8

მოგზაურისთვის სასურველია დაემშვიდობოს თავის ოჯახს, ნათესავებს, მეზობლებს და მეგობრებს.

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«مَنْ أَرَادَ أَنْ يَسَافِرَ فَلْيَقُلْ: ائْتِ بِكَ اللَّهُ إِلَهِي لَا يُضِيْعُ دَعَائِي»

«ვისაც სურს, რომ მოგზავრობაში წავიდეს, დაე უთხრას ვისაც ტოვებს: გაბარებთ ალლაჰს, რომელიც არასდროს კარგავს მასზედ მინდობილს»⁽⁶⁾

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ემშვიდობებოდა თავის საჰაბებს, როცა რომელიმე მათგანი აპირებდა მოგზაურობას, და ეუბნებოდა:

«اَسْتَوْفِدُكَ اللَّهُ دِينِكَ وَأَمَانَتِكَ وَخَوَائِمِ غَمْلِكَ»

«ალლაჰს ვანდობ შენს რელიგიას, შენს დატოვებულს და შენი ქმედების დასასრულს»⁽⁷⁾

და როცა რომელიმე მოგზაური სთხოვდა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რჩევას, იგი ეუბნებოდა:

«وَقَدْ كَذَّبَ اللَّهُ التَّائِبِينَ، وَغَفَرَ ذُنُوبَهُمْ، وَيَسِّرْ لَكَ الْخَيْرَ حَيْثُ مَا كُنْتَ»

«ალლაჰმა შეგმოსოს ღვთისმოშიშობით, შეგინდოს შენი ცოდვები და გაგიადვილოს სიკეთე იქ, სადაც არ უნდა იყო»⁽⁸⁾

ერთმა კაცმა მოინახულა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და უთხრა, რომ აპირებდა მოგზაურობას: "ო, ალლაჰის მოციქულო, მირჩიე რამე,— მან მიუგო:

(6) გადმოსცა აჰმადმა თავის მუსნადში ნომრით (4524).

(7) გადმოსცა ათ-თირმზიმ ნომრით (3444).

(8) გადმოსცა აჰმადმა თავის მუსნადში ნომრით (9724).

«أوصيك بتقوى الله، والتكبير على كل شرف» فَلَمَّا قَضَىٰ قَالَ: «اللَّهُمَّ اِنِّهِ الْخَرْصَ»
«وَهُوَ عَلَى السَّفَرِ»

«გირჩევ ალლაჰის შიშს და ყოველ მაღალ ადგილას
თაქბირის (ალლაჰჰუ აქბარ) წარმოთქმას». — და
როცა ის წავიდა, მან თქვა: «ო, ალლაჰ, შეუმოკლე
მას გზა და გაუმარტივე მოგზაურობა»⁽⁹⁾

9

**არ უნდა წაიყოლოს მოგზაურობაში ზარის
ხმა, მუსიკალური ინსტრუმენტები და
ძაღლი,**

რადგან აბუ ჰურაირას — ალლაჰი იყოს კმაყოფილი
მისით — ჰადისში გადმოცემულია, რომ ალლაჰის
მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)
თქვა:

«لَا تَذْهَبُ الْمَلَأَيْنِ يُقْمَقُ فِيهَا كَلْبٌ وَلَا جَرَسٌ»

«ანგელოზები თან არ ახლავენ იმ ჯგუფს, სადაც
არის ძაღლი ან ზარი»⁽¹⁰⁾



(9) გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (2113).

(10) გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (2593) და
მუსლიმის მიერ, ნომრით (2770).

10

თუ მას ჰყავს ერთზე მეტი ცოლი და სურს მათგან რომელიმესთან ერთად მოგზაურობა, უნდა ჩაატაროს კენჭისყრა მათ შორის, და ვისზეც წილი მოუწევს მას წაიყვანს თან.

ეს ეფუძნება აიშას (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) ჰადისს, სადაც მან თქვა:

«كَانَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: إِذَا أَرَادَ سَفَرًا أَفْرَغَ بَيْنَ نِسَائِهِ، فَأَيُّهُنَّ خَرَجَ سَفَرًا خَرَجَ بِهَا مَعَهُ».

«როცა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აპირებდა მოგზაურობას, კენჭისყრას ატარებდა თავის ცოლებს შორის, და ვისზეც წილი ამოვიდოდა მასთან ერთად მიდიოდა»⁽¹¹⁾.

11

სასურველია, რომ მოგზაურობა დაიწყოს ხუთშაბათს დილის საათებში, თუ ამის შესაძლებლობა აქვს — რადგან ასე იქცეოდა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

ქაბ იბნ მალიქმა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) თქვა:

«لَقَدْ كَانَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَخْرُجُ إِذَا خَرَجَ فِي سَفَرٍ إِلَى يَوْمِ الْخَمِيسِ».

«ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა გამოდიოდა გზაზე, ეს არ ყოფილიყო ხუთშაბათი»⁽¹²⁾.

12

სასურველია, რომ მოგზაურობისას (და სხვა დროსაც სახლიდან გასვლისას) მოუხმოს სპეციალური ვედრებით,

(11) გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (2949).

(12) გადმოსცა აბუ დააუდმა ნომრით (5094).

რომელსაც ამბობს გასვლისას:

«سَمِعَ اللَّهُ، تَوَكَّلْتُ عَلَى اللَّهِ، وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللَّهِ، اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ أَنْ أَضِلَّ أَوْ أَضِلَّ، أَوْ أَزِلَّ أَوْ أُزِلَّ، أَوْ أَظْلِمَ أَوْ أَظْلَمَ، أَوْ أَجْهَلَ أَوْ يُجْهَلَ عَلَيَّ»
«ბისმილაჰი თავაქქალთუ 'ალა ალლაჰი, ლაა ჰავლა ვა ლაა ყუვვათა ილლაა ბილლაჰი, ალლაჰუმმა ინნი ა'უზუბიქა ან ადილლა ავ უდალლა, ავ აზილლა ავ უზლაილა, ავ აზლიმა, ავ უზლამა, ავ აჯჰალა ავ იუჯჰალა 'ალაია». (ალლაჰის სახელით, მივენდობი ალლაჰს, არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა, ღმერთო შენ შეგეფარები, რომ ვიყო გზა აბნეული ან ავუზნიო ვინმეს გზა, რომ შევცდე ან ვინმემ ჩამაგდოს შეცდომაში, რომ მოვექცე უსამართლოდ ან მე მოვექცე ვინმეს უსამართლოდ, ან მომექცნენ უსამართლოდ, ან მოვიქცე უმეცრად ან ვინმე მომექცეს უმეცრად).⁽¹³⁾

სასურველია, რომ მოგზაურობისას მოუხმოს ვედრებით,

13

როცა ჯდება თავისი ცხენზე, მანქანაზე, თვითმფრინავზე ან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე, მოგზაურობის ვედრება თქვას:

«اللَّهُ أَكْبَرُ، اللَّهُ أَكْبَرُ، اللَّهُ أَكْبَرُ تَمَّ بِقَوْلِهِ: (سُبْحَانَكَ يَا مَنْ لَيْسَ لَهُ مِثْلٌ لَكَ) وَالْإِكْرَامُ: (1) اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ فِي سَفَرِكَ هَذَا الْبَرَّ وَالْإِقْلَامَ، وَمِنْ الْعَمَلِ مَا تَرْضَى، اللَّهُمَّ هُنَّ عَلَيْنَا الشُّفْعَاءُ وَظَوْعًا نَفْعًا، اللَّهُمَّ أَنْتَ الصَّاحِبُ فِي الشُّفْعَاءِ وَالْخَلِيفَةُ فِي الْأَهْلِ، اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنْ غَضَاءِ الشُّفْعَاءِ وَكَرْبَةِ الْمَنْظَرِ، وَسَوْءِ الْمُنْقَلَبِ فِي الْأَقَالِ وَالْأَهْلِ».

«ალლაჰი უდიდესია, ალლაჰი უდიდესია (დიდება მას, ვინც დაგვიმორჩილა ჩვენ ეს, რამეთუ ჩვენ ვერ შევძლებდით მასთან მიახლოვებას, ჭეშმარიტად, ჩვენს ღმერთთან დაგბრუნდებით) (აზ-ზუხრუფ:14), ღმერთო შენ, გთხოვთ ამ ჩვენს მგზავრობაში ღვთოსმოშიშობასა და ღვთისმოსაობას, და ისეთ საქმეს, რომლითაც შენ კმაყოფილი იქნები, ღმერთო გაგვიადვილე ჩვენი ეს გზა, დაგვიმოკლე მისი სიმორე, ღმერთო შენ ხარ მეგზური გზაში, მფარველი ოჯახში⁽¹⁴⁾, ღმერთო შენ შეგეფარები მგზავრობის სირთულისგან⁽¹⁵⁾, ნანახის მწუხარებისგან და იმისგან⁽¹⁶⁾, რაც შეიძლება ცუდად დაგვიბრუნდეს ჩვენ ქონებაში და ოჯახში⁽¹⁷⁾ (ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ(სუბჰანა ლლაზი სახხარა ლანაა ჰაბაა ვა მაა ქენნა ლაჰუ მუყრინინ, ვა ინნაა ილაა რაბბინაა ლამუნყალიბუენ), ალლაჰუმმა ინნაა ნას ალუქა ფიი საფარიინაა ჰაბაზალ ბირრა ვა თაყვაა ვა მინალ 'ამალი მათ თარდაა, ალლაჰუმმა ჰავვინ 'ალაინაა საფარიინაა ჰაბაა, ვატვი 'ანნაა ბუ'დაჰუ, ალლაჰუმმა ანთა სსააჰიბუ ფიი სსაფარი, ვალ ხალიიფათუ ფიილ აჰლი, ალლაჰუმმა ინნი ა'უზუბიქა მინ ვა'სააი სსაფარი, ვა ქააბათილ მანზარი, ვა სუუ 'ილ მუნყალაბი, ფილ მაალი ვალ აჰლი).

(13) ვა'საუ ას-საფარ ნიშნავს მოგზაურობის სირთულეს, დაღლილობასა და მის ტკივილთან

(14) დაკავშირებულ გაჭირვებას. წყარო: "ალ-იფსაჰ" ან მა'ანნი ას-სიჰაჰ" (ტ. 4, გვ. 284).

ეს გამონათქვამი და თემა განხილულია წიგნში (ტომი 4, გვერდი 284), სადაც აღწერილია ცუდი მდგომარეობა და მწუხარებით გამოწვეული თრგუნვა.

(15) (استغلب): ნიშნავს დაბრუნებას. ეს განმარტებაა წიგნში "ალ იფსაჰ" ან მა'ანნი ასიჰაჰ" (ტომი 4, გვერდი 284).

(16) გადმოსცა აჰმადმა თავის მუსნადში ნომრით (6374).

(17) გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (2998).



14

სასურველია, რომ არ იმოგზაუროს მარტო, უშუალოდ თანამგზავრების გარეშე,

რადგან მოციქულმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«قُلْ يٰٓاَيُّهَا النَّاسُ مَا فِى الْوَحْدَةِ مَا اَعْلَمُ مَا سَازِرَاكِبٌ يَلْبِلُ وَحْدَةً»

«რომ იცოდნენ ადამიანებმა ის, რაც მე ვიცი მარტოდ მოგზაურობის შესახებ, ვერც ერთი მხედარი ვერ გაბედავდა ღამით გზაზე მარტო გასვლას თანამგზავრის გარეშე»⁽¹⁸⁾

“

15

**მოგზაურებმა ერთ-ერთ მათგანს
უნდა მიანიჭონ ხელმძღვანელის
როლი,**

რადგან ეს გაამყარებს მათ ერთობას, ხელს
შეუწყობს შეთანხმებას და გააძლიერებს
მათი მიზნის მიღწევას.

**მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა
და მშვიდობა მას) თქვა:**

«إِنَّا خَلَقْنَا نَفْسًا فِي سَفَرٍ فَلْيُؤْمَرُوا أَحَدَهُمْ»

**«თუ სამნი გავლენ
სამოგზავროდ, დაე, დანიშნონ
ერთ-ერთი მათგანი ემირად
(ხელმძღვანელად)»⁽¹⁹⁾**”

”

(19) გადმოსცა აჰმადმა თავის მუსნადში ნომრით (17736).



16

უნდა ეცადოს, რომ შესრულოს ის მორჩილებები, რაც ალლაჰმა დაავალდებულა და თავი შეიკავოს აკრძალულთაგან. ასევე უნდა დაიმკვიდროს კეთილშობილური ზნე-ჩვევები:

დაეხმაროს, ვინც დახმარებას საჭიროებს, გაუზიაროს ცოდნა მას, ვისაც ეს სჭირდება, და იყოს გულუხვი თავისი ქონებით ხარჯავდეს მას საკუთარ სარგებელსა და თავისი ძმების საჭიროებებზე.

17

საჭიროა, რომ თან გააჩნდეს უხვი საზრდო და მოგზაურობისთვის საჭირო ნივთები,

რადგან შესაძლოა გაჩნდეს საჭიროება ან შეიცვალოს გარემოებები.



18

ამ ყველაფერში იგი უნდა იყოს ღიმილიანი, გულთბილი,

მხიარული ხასიათის მქონე და ეცადოს, რომ სიხარული მიანიჭოს თავის თანამგზავრებს, რათა იყოს საყვარელი და ყველა შეეჩვიოს მას.

19

უნდა მოითმინოს თანამგზავრების უხეშობა და მათი აზრისგან განსხვავება,

მოექცეს მათ სიკეთითა და ღმობიერებით, რათა იყოს პატივსაცემი მათ შორის და მნიშვნელოვანი მათ გულებში.

20

სასურველია, რომ როდესაც მოგზაურები ჩამოდიან დასასვენებლად, ერთმანეთს შეუერთდნენ და ერთად გაჩერდნენ, რადგან ზოგიერთი მოციქულის საჰაბები როცა ჩერდებოდა, იფანტებოდნენ ხეობებსა და ველებზე.

მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ღოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا إِذَا جَاءَ أَحَدُكُم مِّنَ الْمَدِينَةِ فَأَخْبَرُوا بِنَا»

«თქვენი დაშორება და გაფანტვა ხეობებსა და ველებში, ის მხოლოდ ეშმაკისგან არის»,⁽²⁰⁾

ამის შემდეგ ისინი ერთად ჩერდებოდნენ ისე, რომ თუკი მათზე ერთი ბეწარი გაეშალათ, ყველას დაეტეოდა.

21

სასურველია, რომ თუ მოგზაურობისას ან სხვა დროს რომელიმე ადგილზე ჩერდება, წარმოთქვას ის დუა,

ამის შემდეგ ისინი ერთად ჩერდებოდნენ ისე, რომ თუკი მათზე ერთი ბეწარი გაეშალათ, ყველას დაეტეოდა.

(20) გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (2708).

«أَوَدُّ بِكَلِمَاتِ اللَّهِ التَّامَّاتِ مِنْ شَرِّ مَا خَلَقَ»:

«აღლაჰის სრულყოფილ სიტყვებს მივეფარები
იმ სიავისგან, რომელიც მან შექმნა»⁽²¹⁾ [ა'უუზუ
ბიქალიმაათი ლლაჰი თთამმაათი მინ შარრი
მაა ხალაყ]

ვინც ამას იტყვის, მას არაფერი ავნებს მანამ, სანამ არ
დატოვებს იმ ადგილს.

22

**სასურველია, რომ მაღალ ადგილებზე
ასვლისას თქვას ალლაჰუ აქბარ, ხოლო
დადმართებზე და ხეობებში ჩასვლისას
თქვას სუბჰანალლაჰ.**

ჯაბირმა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით)
თქვა:

«როცა მაღლობზე ავდიოდით,
ვამბობდით ალლაჰუ აქბარ, და
როცა დაბლობზე ჩავდიოდით,
ვამბობდით სუბჰანალლაჰ»⁽²²⁾,

არ უნდა აიმაღლონ ხმები
თაქბირის თქმისას. მოციქულმა
(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა
მას) თქვა:

«يَا أَيُّهَا النَّاسُ ارْجِعُوا إِلَىٰ أَسْمَاءِ كَمَا جَاءَ مِنْ رَبِّكُمْ فَتَلَعُوا نَجْمًا كَمَا تَلَعُوا نَجْمًا يَوْمَ الْآزِفِ»

«ო, ადამიანებო, მშვიდად იყავით თქვენი თავებისთვის, რადგან
თქვენ არ ევედრებით ყრუს და არარსებულს, მართლაც, ის
თქვენთანაა, ის ყოვლისმსმენი და ახლოსმყოფელია»⁽²³⁾

23

**სასურველია, რომ მოგზაურობისას ადამიანმა
დამით იმგზავროს, განსაკუთრებით მისი
დასაწყისის დროს, რადგან მოციქულმა
(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:**

(21) გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (2994).

(22) გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (2993).

(23) გადმოსცა აბუ დააუდმა ნომრით (2571).

«عَلَيْكُمْ بِالْجِدَّةِ؛ فَإِنَّ الْخُصَّ تَطَوُّعٌ بِاللَّيْلِ».

«გაემგზავრეთ ღამით, რადგან ღამით მიწა მოკლდება (გზა მალევე ივლება)»⁽²⁴⁾.

24

სასურველია, რომ მოგზაურობისას ხშირი ვედრება ადასრულოს,

რადგან მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«تَلَدْتُ دَعَوَاتٍ مُسْتَجَابَاتٍ أَشَدَّ مِنْكُمْ فِيهِنَّ: دَعْوَةُ الْمُطَّلُوعِ، دَعْوَةُ الْمُسَافِرِ، دَعْوَةُ الْوَالِدِ غَلِيٍّ».

**«სამი ვედრება,
რომლებზეც პასუხის
გაცემაშიც ეჭვი არ
არსებობს:
დაჩაგრულის
ვედრება, მოგზაურის
ვედრება და მშობლის
ვედრება (წყევლა)
შვილის მიმართ»⁽²⁵⁾.**

(24) გადმოსცა აჰმადმა თავის მუსნადში ნომრით (10771).

(25) გადმოსცემს ალ-ბაჰზაარ თავის მუსნადში ნომრით (10068).

1

მოგზაურმა უნდა იზრუნოს თავის განწმენდაზე:

მცირე უწმინდურობის დროს აიღოს აბდესი, ხოლო დიდი უწმინდურობის შემთხვევაში შეასრულოს სრული განბანვა.

2

თუ ვერ იპოვა წყალი,

ან აქვს ცოტა წყალი, რომელიც სჭირდება საჭმლისა და სასმელისთვის, მაშინ უნდა შეასრულოს თაიამუმი (მიწით განწმენდა)



დაარტყამს ხელებს მიწას და მოისვამს ორივე ხელით სახეზე და ხელებზე.

3

თაიამუმის შესრულების წესი ასეთია:

4

თაიამუმით გაკეთებული განწმენდა არის დროებითი განწმენდა.

როგორც კი ადამიანი წყალს იპოვოს თაიამუმი გაუქმდება და მას წყლის გამოყენება ევალება. თუ ჯუნუბობის გამო შეასრულა თაიამუმი, შემდეგ კი წყალი იპოვა — **მასზე სავალდებულოა, რომ გააკეთოს ღუსლი.** ხოლო თუ თაიამუმი შეასრულა საპირფარეშოში შესვლის შემდეგ,

და თუ იპოვა წყალი მას აბდესი ევალება. ჰადისში ნათქვამია:

«الطَّيِّبُ الطَّيِّبُ وَصُوفُ الْمُسْلِمِ وَإِنْ لَمْ يَجِدِ الْمَاءَ غَسَّ بِسَيْنَيْنِ، فَإِذَا وَجَدَ الْمَاءَ فَلْيَتَّقِ اللَّهَ، وَلْيَغْسِمْ بِشَيْئٍ»

«სუფთა მიწა — მუსლიმისთვის განწმენდის საშუალებას წარმოადგენს, თუნდაც მან ათი წლის განმავლობაში ვერ იპოვოს წყალი. მაგრამ როცა წყალს იპოვის — უნდა ემინოდეს ალლაჰის და უნდა შეახოს წყალი თავის კანს»⁽²⁶⁾

5 მოსაცმელ ფეხსაცმელზე მასჰი (წინდებზე გაწმენდა) დაშვებულია ყურანით,

სუნნითა და სუნნის ხალხის ერთსულოვანი თანხმობით.

6 ქალამნებზე ან მათ მსგავსებზე მასჰის (გაწმენდის) შესრულებისთვის აუცილებელია გარკვეული პირობები:

1.

ქალამანი (ტყავის წინდა) ან ნასკები უნდა იყოს ნებადართული გამოყენებისა თვის და სუფთა.

2.

უნდა ჩაიცვას განწმენდილ (აბდესიანი) მდგომარეობაში.

3.

ისინი უნდა ფარავდნენ იმ ნაწილს, რომლის დაბანა აბდესში სავალდებულოა.

(26) გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (1804) და მუსლიმის მიერ, ნომრით (1927).

4.

მასპი უნდა შესრულდეს მცირე უწმინდურობის შემთხვევაში; არ შეიძლება მისი გაკეთება ჯუნუბის ან იმ მდგომარეობაში, რაც ღუსლს სავალდებულოს ხდის.

5.

მასპი უნდა შესრულდეს შარიათით დადგენილ ვადაში: ერთი დღე და ღამე ადგილზე მყოფთათვის **და სამი დღე და ღამე მოგზაურისთვის.** სწორი მოსაზრების თანახმად, ეს ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირველად შესრულდა მასპი უწმინდურობის შემდეგ და მთავრდება ოცდაოთხ საათში ადგილზე მცხოვრებთათვის **და სამოცდათორმეტ საათში მოგზაურისთვის.**



7 წინდებზე მასკი გაუქმდება შემდეგი სამიდან ერთ-ერთი მიზეზით:

1. თუ მოხდა რამე, რაც სრულ განბანვას სავალდებულოს ხდის მაგალითად, ჯანააბა მაშინ, მასკი ბათილდება და აუცილებელია სრული განბანვა.
2. თუ მასკის შესრულების შემდეგ ისინი (წინდები ან ქალამნები) გაიხადა მასკი ბათილდება.
3. თუ შარიათით დადგენილი ვადა გასული იქნება — მასკი ბათილდება.

* * *



მესამე: ლოცვის შემოკლების წესები მოგზაურობის დროს:

1 ლოცვის შემოკლება მოგზაურობის დროს უფრო უმჯობესია, ვიდრე სრულად შესრულება;

თუმცა, თუ მოგზაურმა ოთხრაქათიანი ლოცვა სრულად, ოთხ რაქათად შეასრულა — მისი ლოცვა სწორია, თუმცა ის დაეწინააღმდეგა უკეთესს.

2 მოგზაური ლოცვას მაშინ ამოკლებს, როცა სრულად გასცდება

თავის სოფელს ან ქალაქს— ეს არის უმრავლესობა სწავლულების მოსაზრება.



3 თუ ის გაემგზავრა ღოცვის დროის დადგომის შემდეგ, მას უფლება აქვს შეამოკლოს (ლოცვა),

რადგან მოგზაურობა დაიწყო მანამ, სანამ მისი დრო ამოიწურებოდა.

4 რაც შეეხება

ზუჰრისა და
ასრის,

აგრეთვე

მალრიბისა და
იშას
გაერთიანებას

— ეს სუნნაა მოგზაურისთვის, როცა საჭიროება აქვს და როცა გზა გრძელდება და მგზავრობა უწყვეტად მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოიქცეს ისე, რაც მისთვის უფრო მოსახერხებელია — იქნება ეს წინდაწინ გაერთიანება თუ დაგვიანებით გაერთიანება.



5 რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც მოგზაურს არ აქვს გაერთიანების აუცილებლობა — მაშინ არ უნდა გააერთიანოს ლოცვები.

მაგალითად, თუ ის გაჩერებულია ერთ ადგილას და არ აპირებს ადგომას მეორე ლოცვის დრომდე, უკეთესია, რომ არ გააერთიანოს, რადგან მას ამის საჭიროება არ აქვს. სწორედ ამიტომ, **არ გააერთიანა ლოცვები მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)** გამოსამშვიდობებელი ჰაჯობის დროს მინაში გაჩერებისას — რადგან ამის აუცილებლობა არ იყო.

6 რაც შეეხება ნებაყოფლობით ლოცვებს

— მოგზაურს შეუძლია იმავე ნაფილე ლოცვების შესრულება, რასაც ადგილზე მყოფი მაცხოვრებელი ასრულებს: მაგალითად დუჰას ლოცვა, ღამის ლოცვები, ვითრი და სხვა ნაფილები. გარდა ზუჰრის, მალრიბისა და იშას წინამდებარე დადასტურებული ნაფილებისა — მათი შესრულება მოგზაურობის დროს სუნა არ არის.

7 მოგზაურობისას ნებაყოფლობითი ლოცვის შესრულება დასაშვებია სატრანსპორტო საშუალებაზე — იქნება ეს თვითმფრინავი,

მანქანა, გემი თუ სხვა ტრანსპორტი. ხოლო რაც შეეხება სავალდებულო ლოცვას — აუცილებელია მისთვის ტრანსპორტიდან ჩამოსვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადამიანი უუნაროა ეს ფიზიკურად მოახერხოს.



8

**მოგზაურის ლოცვა
ადგილზე მაცხოვრებლის
უკან სწორია, და მოგზაური
ლოცვას ასრულებს
სრულად ისე, როგორც მისი
იმამი.**

ეს განკუთვნილია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან მოასწრო მთელი ლოცვა, ერთი რაქაათი ან ნაკლებიც კი, თუნდაც მხოლოდ დასასრულის თაშაჰუდის დროს დაესწროს ლოცვას, მაინც უნდა შეასრულოს სრულად. ეს არის სწორი მოსაზრება სწავლულების შეხედულებათაგან.

მეოთხე: ჰაჯიდან, უმრიდან ან მოგზაურობიდან დაბრუნების ეთიკა.

1

სასურველია, რომ ადამიანმა დააჩქაროს დაბრუნება და არ გაახანგრძლივოს მოგზაურობაში ყოფნა უმიზნოდ,

რადგან მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«الْسَّارِقُ قَطْعَةٌ مِنَ الْعَذَابِ، يَفْتَحُ أَحَدُكُمْ طَعَامَهُ وَسَرَّابَةً وَتَوَمَّ، فَإِذَا قَضَىٰ حَتْمَهُ فَيَلْبَسُ قَطْعَةً مِنْ أَلْسِنَةِ أَهْلِهِ»

«მოგზაურობა წამებაა ნაწილობრივ, რომელიც ადამიანს აკლებს მის საკვებს, სასმელსა და ძილს. ამიტომ, როცა რომელიმე თქვენგანი დაასრულებს იმას, რაც მას სჭირდებოდა, დაე იჩქაროს დაბრუნება ოჯახთან»⁽²⁷⁾

2

როდესაც ის გადაწყვეტს თავის ქვეყანაში დაბრუნებას, სატრანსპორტო საშუალებაზე დაჯდომისას ამბობს მგზავრობის ღუას და ამატებს შემდეგს:

"ვბრუნდებით მონანიებულნი, მლოცველნი, ჩვენს უფალს ვადიდებთ".

«أَيُّنُونَ تَأْتِيُونَ غَائِبُونَ لِرَبِّنَا حَامِدُونَ»

«ჩვენ ვბრუნდებით, ვინანიებთ ჩვენი ღმერთის წინაშე, ვეთაყვანებით მას და ვადიდებთ»⁽²⁸⁾
/ააიბუნა, თააიბუნა, ლირაბბინაა ჰაამიდუნა/

(27) გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (1797) და მუსლიმის მიერ, ნომრით (1342).

(28) გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (4116).

3

სასურველია მოგზაურობიდან დაბრუნებისას, თქვას ის, რაც დამოწმებულია შუამავლისგან (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), როცა ის ბრუნდებოდა ბრძოლიდან, ჰაჯობიდან ან უმრიდან: იგი აღასრულებდა თავების სამჯერ ყოველ მაღლობზე, და შემდეგ ამბობდა:

«إِلَهُ إِلَهِي اللَّهُ، وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، لَهُ الْمُلْكُ، لَهُ الْخَمْدُ، وَهُوَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ، أَيُّبُونِ، تَائِبُونَ، غَائِبُونَ، نَسَاجِدُونَ، لِرَبِّكَ حَامِدُونَ، صَدَقَ اللَّهُ وَعْدُهُ، وَأَنْصَرَ عِبْدَهُ، وَهَزَمَ الْكُفْرَ أَبْ وَحْدَهُ».

«არ არსებობს სხვა ღვთაება, ღირსი თაყვანისცემისა, გარდა ერთადერთი აღლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანამოზიარე. მას ეკუთვნის მეფობა და მისია ქება, და მას ყველაფერი შეუძლია. ვბრუნდებით, ვინანიებით, ვმორჩილებით, სეჯდას ვასრულებით და ვადიდებთ ჩვენს უფალს. აღლაჰმა აასრულა თავისი დაპირება, დაეხმარა თავის მორჩილ მონას და მარტომ დაამარცხა კერპთაყვანისმცემელთა ლაშქარი»⁽²⁹⁾. /ლაა ილააჰა ილლაა აღლაჰუ ვაჰდაჰუ ლა შარიაჟა ლაჰუ, ლაჰუ-ლ-მულქუ უა ლაჰუ-ლ-ჰამდ, ვა ჰუვა 'ალა ქულლი შაი'ინ ყადიირ. აიიბუნა, თააიიბუნა, 'ააბიდუუნა, სააჯიდუუნა, ლი-რაბბინაა ჰაამიდუანა. სადაყა-ლლაჰუ ვა'დაჰუ, ვა ნასარა 'აბდაჰუ, ვა ჰაზამა-ლ-აჰზაბა ვაჰდაჰუ/



(29) გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (1797) და მუსლიმის მიერ, ნომრით (1342).

4

სურვილია, რომ როდესაც ადამიანი ხედავს თავის მშობლიურ ქალაქს, რომ თქვას:

«يَا بُونَ تَائِبُونَ غَابُودُونَ لِرَبِّنَا حَامِدُونَ»

«ჩვენ ვბრუნდებით, ვინანიებთ ჩვენი ღმერთის წინაშე, ვეთაყვანებით მას და ვადიდებთ»⁽³⁰⁾,

და ის სიტყვები გაიმეოროს, სანამ არ შევიდეს თავის ქალაქში, როგორც გააკეთა შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

5

თუ ადამიანი დიდი ხნის უნახავი იყო ოჯახისთვის და მოუწია დაბრუნება აუცილებელი საჭიროების გარეშე ღამით,

სუნა არ არის, რომ მოულოდნელად მივიდეს ოჯახში ღამით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მან წინასწარ აცნობა და შეატყობინა დაბრუნების დრო. ეს ეფუძნება მოციქულის (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალვას. ჯააბირ იბნ აბდულლაჰმა (აღლაჰი იყოს კმაყოფილი მათით) თქვა:

«فَهَذَا رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَنْ يَظَرَّقَ الْجُلَّ أَهْلَهُ لَيْلًا»

«მოციქულმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა, რომ მამაკაცმა არ მიაგაკუნოს თავის ოჯახს ღამით»⁽³¹⁾,

და ამის სიბრძნე აიხსნება სხვა ჰადისში, სადაც ნათქვამია:

(30) გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (715).

(31) აშშ'ასა, ვისაც დიდი ხანია არ წახმია ზეთი და არ დავარცხნილა; ისთიჰდაად: ბოქვენის თმის მოსაშორებლად ლითონის (საპარსის) გამოყენება, ალ მაღიაბათუ: ქალი, რომლის ქმარიც დიდი ხნით არის გამგზავრებული. წყარო: "ათ-თაჰარი ფი შარჰ საჰიჰ მუსლიმ" — ალ-ასბაჰანი, (გვ. 292).

«سَمِعْتُ النَّبِيَّ ﷺ يَقُولُ: «يُطْرَقُ الرَّجُلُ أَهْلَهُ لَيْلًا، يَتَخَوَّنُهُمْ أَوْ
«სანამ ქალი გაჩეჩილ თმას დაივარცხნის⁽³²⁾ და
ბოქვენზე თმას არ მოიშორებს»⁽³³⁾».

და სხვა გადმოცემაში:

«نَحْنُ رُسُلُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَنْ يَطْرُقَ الرَّجُلُ أَهْلَهُ لَيْلًا، يَتَخَوَّنُهُمْ أَوْ
يَلْتَمِسُ غُرَارَهُمْ»
«მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)
აკრძალა, რომ კაცი ღამით მოულოდნელად მიადგეს
თავის ოჯახს მათზე ეჭვის გამოსატანად ან მათი
შეცდომების გამოსაძიებლად»⁽³⁴⁾.

6

**სასურველია, რომ მოგზაურობიდან
დაბრუნებული ადამიანი პირველად
მივიდეს მის ახლოს მდებარე მეჩეთში და
იქ შეასრულოს ორი რაქათის ლოცვა**

— როგორც ამას აკეთებდა მოციქული (ალლაჰის ლოცვა
და მშვიდობა მას).



(32) გადმოსცემს ან-ნასაი ნომრით (9099).

(33) გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (715).

(34) გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (2428).

7

სასურველია, რომ მოგზაურობიდან დაბრუნებისას ადამიანი ღმობიერად მოექცეს თავისი ოჯახის და მეზობლების ბავშვებს და კეთილად მოეპყროს მათ,

როცა ისინი მას მიეგებებიან. იბნ აბბასმა — ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით — თქვა: როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეექვსეში დაბრუნდა, აბდ ალ-მუტალიბის ტომის პატარა ბიჭები მიეგებნენ და მან ერთი წინ დაისვა და მეორე — ზურგს უკან. და აბდულლაჰ იბნ ჯა'ფარმა — ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით — თქვა:

«إِنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ إِذَا قَدِمَ مِنْ سَفَرٍ لَمْ يَنْهَ بِنَا، قَالَ: فَمُؤْمَلٌ بِي
وَالْحَسَنُ أَوْ الْحُسَيْنِ، قَالَ: فَحَمَلْنَا بَيْنَ يَدَيْهِ وَالْخَزْرَ حَلْفًا حَتَّى دَخَلْنَا الْمَدِينَةَ.

«როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრუნდებოდა მოგზაურობიდან, მას ჩვენ ვეგებებოდით. ერთ-ერთი მოგზაურობიდან დაბრუნებისას მას მე და ჰასანი ან ჰუსეინი შევხვდით, და მან ერთ-ერთი წინ დაისვა, ხოლო მეორე ზურგს უკან ასე შევედით მედინაში».⁽³⁵⁾

8

სასურველია საჩუქრის მიცემა, რადგან ის უღბობს გულებს და აშორებს მტრობას. ასევე სასურველია მისი მიღება და საპასუხოდ დაჯილდოება.

ხოლო უარის თქმა — უსაფუძვლო შარიათური მიზეზის გარეშე — მიუღებელია. სწორედ ამის გამო თქვა მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«إِذَا لَوْ تَخَلَّى»

«აჩუქეთ ერთმანეთს საჩუქრები და შეიყვარებთ ერთმანეთს».⁽³⁶⁾

საჩუქარი მუსლიმებს შორის სიყვარულის ერთ-ერთი მიზეზია.

(35) გადმოსცა ალ-ბაიჰაკიმ სუნან ალ-ჟებრაში ნომრით (11946).

(36) გადმოსცა ატ-ტაბარაანიმ ალ-ავსატში ნომრით (97).



9

როდესაც მოგზაური ბრუნდება საკუთარ ქალაქში, სასურველია ჩახუტება,

როგორც ეს მტკიცედ გადმოცემულია მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბებისგან. როგორც ანასმა — ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით — თქვა:

"«როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ — ხელს ჩამოართმევდნენ, ხოლო როცა მოგზაურობიდან⁽³⁷⁾ ბრუნდებოდნენ — ეხვეოდნენ»."

ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა ჩვენ შუამავალ მუჰამმადს.

⁽³⁷⁾ გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (3116) და მუსლიმის მიერ, ნომრით (100).

Index

მოგზაურობის ეთიკა და წესები	3
პირველი: მოგზაურობის ეთიკა	4
მეორე: განწმენდა მოგზაურობისას	18
მესამე: ლოცვის შემოკლების წესები მოგზაურობის დროს:	22
მეოთხე: ჰაჯიდან, უმრიდან ა მოგზაურობიდან დაბრუნების ეთიკა.	26

تعرف على الإسلام

بأكثر من 100 لغة



موسوعة الأحاديث النبوية
HadeethEnc.com



ترجمات متقنة للأحاديث
النبوية وشرحها بأكثر من
لغة (60)



بيان الإسلام
byenah.com



مواد منتقاة للتعريف
بالإسلام وتعليمه بأكثر
من (120) لغة



موسوعة القرآن الكريم
QuranEnc.com



ترجمات متقنة لمعاني
القرآن الكريم بأكثر من
لغة (75)



موسوعات وخدمات إسلامية باللغات
s.islamenc.com



للمزيد
من المواقع الإسلامية
بلغات العالم



مكتبة المحتوى الإسلامي
islamcontent.com



مواد إسلامية متنوعة
وشاملة بأكثر من (125)
لغة



ضيوف الرحمن
hajjumrh.com



مواد منتقاة للحجاج
والمعتمرين والزوار
بلغات العالم

جمعية خدمة المحتوى
الإسلامي باللغات



ضيوف الرحمن
hajjumrh.com

